თვითმმართველი ერთეული

ცაგერის მუნიციპალიტეტი

ცაგერის მუნიციპალიტეტში 2016 წლის მაისი-ივლისის თვეში მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციოდ განსახორციელებელი სამუშაოების

სახელმწიფო შესყიდვა

Cpv (45200000)

სახელმწიფო შესყიდვის ერთეტაპიანი ელექტრონული

ტენდერის (ელ. ტენდერი აუქციონის გარეშე) საშუალებით განხორციელების

სატენდერო დოკუმენტაცია

ქ. ცაგერი
2016 წელი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების შესაბამისად.

1.2 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულობა).

1.5 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.6 პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1. შესყიდვაში მონაწილე ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა (პრეტენდენტებმა) უნდა წარმოადგინონ შემდეგი ტექნიკური ინფორმაცია/დოკუმენტები:

№	წარმოსადგენი ტექნიკური ინფორმაცია/დოკუმენტების ჩამონათვალი	
1	**რეკვიზიტები**	**დანართი №1**
2	**ხარჯთაღრიცხვა**	
3	**ინფორმაცია მანქანა-მექანიზმების შესახებ**	ცხრილი №1
4	ინფორმაცია 2014 წლის 25 ოქტომბრიდან - 2016 წლის 25 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების შესახებ. ანალოგიურ სამუშაოებად ჩაითვლება გზის საამშენებლო და სარემონტო სამუშაოები, რომელიც ზემოთ მოცემული პერიოდისათვის უნდა იყოს არანაკლებ 1 700 000 (მილიონ შვიდასიათასი) ლარის.	ცხრილი №2
5	პრეტენდენტის წინადადება იმის თაობაზე, რომ შესრულებული სამუშაოების სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადა განისაზღვროს გზის საფარის მოწყობის სამუშაოებზე 1 (ერთი) წელი; ბეტონის სამუშაოებზე 5 (ხუთი) წელი და გაბიონებზე 5 (ხუთი) წელი. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა, გარდა იმ შემთხვევებისა როცა ხარვეზები მიღებულია მიმწოდებლისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო	

6	ინფორმაცია შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ კომპანიაში დასაქმებულ ძირითად სპეციალისტთა შესახებ. განათლების და კონკრეტულ პოზიციაზე მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტები. დამადასტურებელი დოკუმენტების სახით როგორც წესი, პრეტენდენტს მოეთხოვება შესაბამისი სპეციალისტების პროფესიული და აკადემიური მიღწევების ნაკრების (CV); დიპლომებისა და სასურველია სერთიფიკატების წარმოდგენა, დამოწმებული სათანადო ბეჭდით	ცხრილი №3
7	სამუშაოთა შესრულების კალენდარული გეგმა-გრაფიკი 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შესრულებული უნდა იყოს არანაკლებ 80000 (ოთხმოციათასი) ლარის სამუშაოები.	

2.2.შესყიდვაში მონაწილე ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა (პრეტენდენტებმა) უნდა წარმოადგინონ შემდეგი საკვალიფიკაციო დოკუმენტები

ა) ცნობა იმის შესახებ რომ არ მიმდინარეობს საწარმოს ლიკვიდაცია;
ბ) ცნობა, რომ არ მიმდინარეობს გადახდისუნარიანობის საქმის წარმოება.

2.3. პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემულ უნდა იყოს: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყების შემდეგ, ხოლო არარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში - საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყებამდე არა უგვიანეს ოცდაათი დღისა.

3. წარმოსადგენი ტექნიკური დოკუმენტაცია

3.1. ინფორმაცია სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს უნდა ჰყავდეს საკუთარი ან იჯარით 5 თვითმცლელი; 2 ექსკავატორი; 1 გრეიდერი; 1 კატოკი 5ტონიანი; 1 კატოკი 10 ტონიანი. აქედან სავალდებულოა საკუთრებაში ჰყავდეს 2 ექსკავატორი მინიმუმ 0,5 მ³ ციცხვით; 3 თვითმცლელი მინიმუმ 8 ტონიანი; 1 გრეიდერი ან 1 სატკეპნი. სისტემაში სავალდებულოა აიტვირთოს საკუთრების ან იჯარის დამადასტურებელი დოკუმენტები

ცხრილი №1 - ინფორმაცია სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ				
№	მანქანა-მექანიზმების დასახელება	აღწერილობა		მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა
		მოდელი	მოდელი	(საკუთარი, იჯარა)

3.2. ინფორმაცია შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ, 2014 წლის 25 ოქტომბრიდან -2016 წლის 25 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების გამოცდილების შესახებ.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს **2014 წლის 25 ოქტომბრიდან 2016 წლის 25 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდის განმავლობაში** შესრულებული უნდა ჰქონდეს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოები საერთო ღირებულებით არანაკლებ **1 700 000 (მილიონ შვიდასიათასი) ლარის** ოდენობით.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველმა პირმა უნდა წარმოადგინოს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოებზე გაფორმებული ხელშეკრულებების და ამ სამუშაოების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები (სამუშაოების შესრულების აქტი, ან/და შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი, ან/და დამკვეთის მიერ გაცემული შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი ცნობა).

ცხრილი №2 - ინფორმაცია შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ, **2014 წლის 25 ოქტომბრიდან 2016 წლის 25 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდის განმავლობაში** შესრულებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების გამოცდილების შესახებ						
№	სამუშაოების დასახელება (თითოეული ხელშეკრულების დასახელებით)	შემსყიდველის დასახელება	შემსყიდველის საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი, ტელეფონი, ელფოსტა)	ხელშეკრულების მოქმედების ვადები	სახელშეკრულებო ღირებულება	ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება
1						
2						
დაა. შ.						

ცხრილი №3

ინფორმაცია შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ კომპანიაში დასაქმებულ ძირითად სპეციალისტთა შესახებ.

№	სპეციალობა	მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) არანაკლებ 5 (ხუთი) წელი.	ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება
1			
2			
3			

3.3. ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებულ საბოლოო ფასსა და სავარაუდო ღირებულებას შორის 20%-ით ან მეტი და მეტი სხვაობის შემთხვევაში, სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული ხარისხის, მასალებისა და მოწყობილობების საბაზრო ღირებულებისაგან მკვეთრი განსხვავების გათვალისწინებით, მიმწოდებელმა უნდა დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა და ამ ფასად სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობა შესაბამისი ექსპერტის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე. **ექსპერტი უნდა იყოს „სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო ან სხვა აკრედიტებული პირი“ ან სხვა იმგვარი ფორმით,**

რომელიც გამორიცხავს პრეტენდენტთა მიერ მხოლოდ ერთი კონკრეტული პირის მიერ გაცემული დასკვნის შეთავაზების პირობას. პრეტენდენტმა აღნიშნული დასკვნის ღირებულება უნდა დაფაროს საკუთარი ხარჯებით და უნდა უზრუნველყოს მისი წარმოდგენა ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი ვადის შესაბამისად, **7 სამუშაო დღის განმავლობაში**. აღნიშნულ ვადაში დასკვნის წარმოუდგენლობის შემთხვევაში პრეტენდენტი დისკვალიფიცირებული იქნება ტენდერიდან.

4. ანგარიშსწორების პირობები:

4.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარისწორებით ლარში.

4.2. წინასწარი ანგარიშსორება შესაძლებელია განხორციელდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 20% ოდენობით. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საბანკო ან/და სადაზღვევო გარანტიის საფუძველზე. საბანკო ან/და სადაზღვევო გარანტიის მოქმედების ვადა 60 (სამოცი) დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მიწოდების ვადას.

4.3. შესრულებულ სამუშოზე საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში.

4.4 შუალედური ანგარიშსწორება მოხდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფორმა N2-ის, შესაბამისი ანგარიშფაქტურის და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე არა უგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში. **ავანსის შემთხვევაში ყოველ შესრულებულ სამუშაოზე წარმოდგენილი ფორმა 2-ის მიხედვით ჩამოეჭრება სამუშაოს ღირებულების 50% საავანსო თანხის ამოწურვამდე.**

4.5 სამუშაოს საბოლოო მიღება-ჩაბარება მოხდება ექსპერტის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე. **ექსპერტი უნდა იყოს „სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო ან სხვა აკრედიტებული პირი“ ან სხვა იმგვარი ფორმით, რომელიც გამორიცხავს პრეტენდენტთა მიერ მხოლოდ ერთი კონკრეტული პირის მიერ გაცემული დასკვნის შეთავაზების პირობას.**

ექსპერტიზის ხარჯებს უზრუნველყოფს „მიმწოდებელი“

5. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია:

5.1. ტენდერში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო ან სადაზღვევო გარანტია ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

5.2. იმ შემთხვევაში, როდესაც ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალი იქნება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების საბანკო ან სადაზღვევო გარანტია 10%-ის ოდენობით.

5.3. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო ან სადაზღვევო გარანტიის მოქმედების ვადა 60 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მიწოდების ვადას.

5.4. ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია შემსყიდველ ორგანიზაციას წარედგინება ხელშეკრულების დადებამდე.

6. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 856914 (რვაასორმოცდათექვსმეტიათას ცხრაასთოთხმეტი) ლარს.

CPV კოდი: 45200000)

თითოეული ობიექტის ხარჯთაღრიცხვა არ უნდა აღემატებოდეს დანართ N 2-ში წარმოდგენილ სავარაუდო ღირებულებას.

დანართი N2

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება	სავარაუდო ღირებულება	მიწოდების ადგილი
1	სოფ.ქვ.ცაგერში "გორის უბანში"გზის აღდგენითი სამუშაოები	41665	სოფ. ქვ. ცაგერი
2	სოფ.ბარდნალის და სოფელ ლარჩვალის შიდა სასოფლო გზების აღდგენითი სამუშაოები	75268	სოფ.ბარდნალა
3	სოფელ აღვში შიდა სასოფლო გზის აღდგენითი სამუშაოები	57644	სოფ. აღვი
4	სოფელ წიფერჩის შიდა საუბნო გზების აღდგენითი სამუშაოები	79473	სოფ. წიფერჩი
5	სოფელ ზუბის შიდა სასოფლო გზის აღდგენითი სამუშაოები	31696	სოფ. ზუბი
6	სოფ. ზედა ოყურეშის შიდა საუბნო გზების აღდგენითი სამუშაოები	12721	სოფ. ზედა ოყურეში
7	სოფელ ოფიტარაში შიდა საუბნო გზების აღდგენითი სამუშაოები	4991	სოფ. ოფიტარა
8	სოფელ ჭალისთავში მდ.ნამკაშურისა და ცხენისწყლის შესართავთან ნაპირსამაგრი სამუშაოები	38706	სოფ. ჭალისთავი
9	სოფელ ჭალისთავში "გუმარეშის უბანში" გზის აღდგენითი სამუშაოები	17946	სოფ. ჭალისთავი
10	სოფ. ქვ.ცაგერში "ლაზარიანების უბანში " გზის აღდგენითი სამუშაოები	58649	ქვ. ცაგერი
11	სოფელ ლეშკედის სასოფლო გზის აღდგენითი სამუშაოები	23331	სოფ. ლეშკედა
12	კურორტ ლაშიჭალის გზა და ტიბიშურის ტერიტორიაზე გადასასვლელ ხიდთან ნაპირსამაგრი სამუშაოები	47936	სოფ. ლაშიჭალა
13	სოფელ ორბელში შიდა სასოფლო გზის აღდგენითი სამუშაოები	36980	სოფ. ორბელი
14	სოფელ ლაჯანის შიდა სასოფლო გზის აღდგენითი სამუშაოები	4988	სოფ. ლაჯანა

15	სოფელ ლესინდის შიდა სასოფლო გზის აღდგენითი სამუშაოები	17355	სოფ. ლესინდი
16	აღვი-ნაკურალეშის გზის აღდგენითი სამუშაოები	9887	სოფ. აღვი-ნაკურალეში
17	სოფელ ტვიშის შიდა საუბნო გზების აღდგენითი სამუშაოები	49718	სოფ. ტვიში
18	სოფელ ჩხუტელის "კლდისძირის" უბნის გზის აღდგენითი სამუშაოები	25026	სოფ. ჩხუტელი
19	სოფ. დეხვირი-ლესინდი-ცხეთის დაზიანებული გზის აღდგენითი სამუშაოები	79766	სოფ. დეხვირი-ლესინდი
20	სოფელ ლასურიაშის შიდა სასოფლო გზის აღდგენითი სამუშაოები	21305	სოფ. ლასურიაში
21	სოფ. მახაშის შიდა სასოფლო გზის აღდგენითი სამუშაოებიმახაში	25727	სოფ. მახაში
22	სპათაგორის ხიდთან მდინარე ლაჯანურის ხეობის გაწმენდითი სამუშაოები	19155	სოფ. სპათაგორი
23	სოფელ ჭალისთავში " ღრუღელის" კალაპოტის გაწმენდისა და გზის აღდგენითი სამუშაოები.	3348	სოფ. ჭალისთავი
24	სოფელ ლაილაშის სასოფლო გზის აღდგენითი სამუშაოები	4743	სოფ. ლაილაში
25	სოფ. ჩხუტელში სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები	25641	სოფ. ჩხუტელი
26	სოფელ ზედა ცაგერში სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები	26748	ზედა ცაგერი
27	ისიანისა და თამარ მეფის ქუჩებზე სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები	5911	ქ. ცაგერი
28	სოფელ ღვირიშის შიდა სასოფლო გზის აღდგენითი სამუშაოები	1901	სოფ. ღვირიში
29	სოფელ წილამიერის სასოფლო გზის აღდგენითი სამუშაოები	3392	სოფ. წილამიერი
30	სოფელ ხოჯისა და უსახელოს სასოფლო გზის აღდგენითი სამუშაოები	5297	სოფ. ხოჯი და უსახელო
	ჯამი	856914	

6.1. სამუშაოთა შესრულების ვადები

სამუშაოების შესრულება ხორციელდება მხარეთა შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

სამუშაოების დაიწყება ხელშეკრულების გაფორმებიდან, ხოლო დამთავრება არაუგვიანეს 2017 წლის 31 მაისს.

კალენდარული გრაფიკი

№	სამუშაოების ჩამონათვალი	Iთვე	IIთვე	დ.ა.შ.
1				
2				
3				
დ.ა.შ				

შენიშვნა მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები აწარმოოს კალენდარული გრაფიკის შესაბამისად. კალენდარული გრაფიკი წარმოდგენილი უნდა იყოს შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებებით, კალენდარული გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაჯარიმდება მიმდინარე პერიოდში (შესაბამისი თვე) კალენდარული გრაფიკით გათვალისწინებული ღირებულების 0,2 %-ის ოდენობით.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე: ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობა. ცაგერი. რუსთაველის ქ. №64

მანუჩარ გუგავა ტ. 551 73 73 39

ელ. ფოსტა: cagerishesyidvebi@gmail.com

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულება№
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ცაგერი -------- ---------- 2016 წელი

ერთის მხრივ, **ცაგერის მუნიციპალიტეტი** (შემდგომში – შემსყიდველი), მუნიციპალიტეტის გამგებლის რევაზ ბენიძისსახით და მეორეს მხრივ,---------- (შემდგომში – მიმწოდებელი), ---------- სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანია**

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის სახსრებით **მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები** (კლასიფიკატორის კოდი 45200000) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, **ერთეტაპიანი ელექტრონული ტენდერის საშუალებით.**

2.შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია: **ცაგერის მუნიციპალიტეტში 2016 წლის მაისი-ივლისის თვეებში მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციოდ განსახორციელებელი სამუშაოები.**

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება **ლარებში**

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს ---------- ლარს,

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესრულებული სამუშაოების სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადა განისაზღვრება ბეტონის და გაბიონის სამუშაოებზე 5 წელი, მოხრეშვის სამუშაოებზე 1 წელი, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა, გარდა იმ შემთხვევებისა როცა ხარვეზები მიღებულია მიმწოდებლისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან **2017 წლის 31 მაისამდე.**

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: **შესაბამის დანართში მითითებული ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფლები.**

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა).

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6.2. შუალედური მიღება-ჩაბარება მოხდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფორმა N2-ის, შესაბამისი ანგარიშფაქტურისა და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

6.3. საბოლოო მიღება-ჩაბარება მოხდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფორმა N2-ის, შესაბამისი ანგარიშფაქტურის, მიღება-ჩაბარების აქტის და ექსპერტის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე. **ექსპერტი უნდა იყოს „სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო ან სხვა აკრედიტებული პირი“ ან სხვა იმგვარი ფორმით, რომელიც გამორიცხავს პრეტენდენტთა მიერ მხოლოდ ერთი კონკრეტული პირის მიერ გაცემული დასკვნის შეთავაზების პირობას.**

ექსპერტიზის ხარჯებს უზრუნველყოფს „მიმწოდებელი“

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება **უნაღდო ანგარიშსწორებით.**

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება **ეროვნულ ვალუტაში.**

7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს **10 (ათი) საბანკო დღის ვადაში**.

7.4. წინასწარი ანგარიშსორება შესაძლებელია განხორციელდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 20% ოდენობით. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საბანკო ან/და სადაზღვევო გარანტიის საფუძველზე. საბანკო ან/და სადაზღვევო გარანტიის მოქმედების ვადა 60 (სამოცი) დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მიწოდების ვადას.

7.5. შუალედური ანგარიშსწორება მოხდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფორმა N2-ის, შესაბამისი ანგარიშფაქტურის და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე არა უგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში. ავანსის შემთხვევაში **ყოველ შესრულებულ სამუშაოზე წარმოდგენილი ფორმა 2-ის მიხედვით ჩამოეჭრება სამუშაოს ღირებულების 50% საავანსო თანხის ამოწურვამდე.**

7.6. მიწოდებული სამუშაოს ღირებულებიდან განხორციელდება შესრულებული სამუშაოს ღირებულების 4 %-ის დაკავება სამუშაოს ხარისხის დაცვის უზრუნველსაყოფად. დაკავებული თანხის დაბრუნება განხორციელდება 365 კალენდარული დღის დასრულებისა და ამავე პერიოდში დეფექტების არარსებობის შესახებ სპეციალური კომისიის მიერ შედგენილი აქტის საფუძველზე.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერიდან არა უგვიანეს **2017 წლის 31 მაისამდე.**

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2%-ის ოდენობით. **ხოლო თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას (კალენდარული გრაფიკი), დარღვევის შემთხვევაში მომწოდებელი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაჯარიმდება მიმდინარე პერიოდში (შესაბამისი თვე) კალენდარული გრაფიკით გათვალისწინებული ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.**

9.6. **თუ საჯარიმო სანქციებმა შეადგინა სახელშეკრულებო ღირებულების 5%, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება.**

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან **2018 წლის 31 აგვისტომდე.**

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2.მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს **მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.**

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15..1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
ცაგერის მუნიციპალიტეტი	_____
მისამართი	მისამართი
რუსთაველის ქუჩა №64	_____
სახელმწიფო ხაზინა	_____
ბ.კ.TRESGE22	_____
სახაზინო კოდი: 707017021	კოდი: ----------
	ა/ა № ----------
ს/კოდი: 242 574 460	ს/კოდი:----------

17. მხარეთა ხელმოწერები

ცაგერის მუნიციპალიტეტის	_____
გამგებელი:	_____
რ. ბენიძე	
----------	----------

დანართი №1

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

საიდენტიფიკაციო კოდი: